ბრძანება:**ბ47. 4726050001**
თარიღი:**19/02/2026**

ბრძანება N 15

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 26 თებერვალს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეკლა ჯიბუტი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფასტრუქტურის სამსახურის

არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

1.5. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი